საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7493
06/12/2022

7493-21-2-202212061730

შპს „მშენებელი 2021“-ს
მის: ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქისტაური მე-2 ქუჩა №37
ელ. ფოსტა: Anzori.lepsveridze1@gmail.com
natia@telaveli.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6824 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქისტაურში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 5.1 ქვეპუნქტისა (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) და ამავე დანართის 6.3 ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას, ამასთან დოკუმენტში მითითებულია, რომ კომპანიის ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიზელის საწვავით გამართვა ხორციელდება მის ტერიტორიაზე მოწყობილ, დიზელის საწვავით გასამართ სადგურზე. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ობიექტის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, რეზერვუარის მოცულობის, ტიპის, ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვის, გადახურვისა და განთავსების შესახებ (მიწისზედა, მიწისქვეშა), სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრები (სიმაღლე, დიამეტრი) და რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატები გეგმაზე დატანით, ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ასევე, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე;

- განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ სამუშაო დღეების რაოდენობად რიგ შემთხვევაში მითითებულია 240, ხოლო რიგ შემთხვევაში 260 დღე, ამასთან, ცხრილში - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები“ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების სამუშაო დროდ მითითებულია 2400 სთ/წელიწადში, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო რეჟიმი;
- წარმოდგენილ დოკუმენტში (საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა - თავი 1.1), მითითებულია, რომ დასაპროექტებელი შენობის დასაძირკველება უნდა განხორციელდეს მეორე ლითოლოგიურ ერთეულზე. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო